

ადამიანის უფლებათა საბჭოს პერიოდული მიმოხილვა



მე-3 პერიოდი, 37-ე სესია, 2020 წელი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებული წარდგინება: მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემის გამოწვევები; სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები.

არასამთავრობო ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA).

კოალიცია შეიქმნა 2020 წლის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის გაერთიანებული წარდგინების მოსამზადებლად. კოალიციაში გაერთიანებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების ის ორგანიზაციები, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია უყრდნობა მონაწილე ორგანიზაციების კვლევებს, იურიდიულ ქეისებს, ადვოკატირების კამპანიებს. მოხსენება გამოხატავს ქვეყნის მდგომარეობას, რომელიც დაკავშირებულია 12.5; 12.6; 15-1 მუხლებთან.

A. მართლმსაჯულებისა და სამართალდაცავი სისტემის გამოწვევები

1. სასამართლო სისტემა

1.1. 2016 წელს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისას საქართველოს მისცეს რეკომენდაცია, გაეძლიერებინა ძალისხმევა კანონის უზენაესობის დამკვიდრების, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი სრული დეპოლიტიზაციის მიმართულებით.¹ თუმცა, ის დღემდე პოლიტიკური და კლანური ინტერესების გავლენას განიცდის. მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს („კლანი“) გააჩნია სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე ზეგავლენის ბერკეტები² და ამას სასამართლო სისტემის შიგნით საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებს.³ ეს ჯგუფი ალიანსშია ხელისუფლებასთან და, საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების გამოყენებით, ცდილობს იმოქმედოს თვითნებურად, მართლმსაჯულების ინტერესის წინააღმდეგ. ეს იწვევს უსამართლობის განცდას მოქალაქეებში. ქვეყანაში კრიტიკულად დაბალია სასამართლოს მიმართ ნდობა.⁴

1.2. საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, აგრეთვე, სხვა ამოცანების შესრულების მიზნით არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში საბჭო).⁵ პრობლემურია საბჭოს დაკომპლექტების წესი,⁶ რომელიც ვერ

¹ 2RP: Responses to Recommendations & Voluntary Pledges, Georgia, Second Review, Session 23, Review in the Working Group: 10 November 2015, Adoption in the Plenary: 16 March 2016, რეკომენდაციები 118.22. (აშშ) და 118.19. (პოლონეთი), მხარდაჭერილია საქართველოს მიერ, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3dhE3aL>, განახლებულია: 21.03.2020.

² Abashidze A., Arganashvili A., Beraia G., Verdzeuli S., Kukava K., Shermadini O., Tsimakuridze E., *The Judicial System Past Reforms And Future Perspectives*, Coalition for an Independent and Transparent Judiciary, Tbilisi 2017, გვ. 12, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3b468A4>, განახლებულია: 21.03.2020.

³ კლანურ მმართველობასთან დაკავშირებით იხილეთ: Coalition for an Independent and Transparent Judiciary, „The Coalition is Starting “Make Courts Trustworthy” Campaign“, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/33sRNKY>, განახლებულია: 21.03.2020; ასევე, Abashidze A., Arganashvili A., Beraia G., Verdzeuli S., Kukava K., Shermadini O., Tsimakuridze E., *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 12.

⁴ Human Rights Education and Monitoring Center (EMC), CRRC-Georgia, Institute for Development of Freedom of Information (IDFI), *Knowledge and Attitudes of the Population of Georgia towards Judiciary: Results of the Public Opinion Survey*, 2018, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2UhKwK2>, განახლებულია: 21.03.2020.

⁵ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 8 წევრს, რომელთაგან თითო წევრი მაინც წარმოადგენს თითოეული ინსტანციის სასამართლოს, ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1-ს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობრივად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

აბლანსებს სასამართლოს შიგნით, სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების თანაბრად წარმოდგენას.

1.3. სასამართლოში ადმინისტრაციულ თანამდებობებს, როგორც წესი, ერთი და იგივე პირები იკავებენ, რაც მოსამართლეთა შორის პრივილეგირებული ჯგუფების ჩამოყალიბებასა⁷ და მის ხელში დიდი ძალაუფლების კონცენტრირებას უწყობს ხელს.⁸ კანონის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს, აგრეთვე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს საბჭო, რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება კიდევ ერთი ბერკეტია სისტემის გასაკონტროლებლად და მიმართულია ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.⁹ 2014 წელს ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა კანონის პროექტის პირველადი ვერსია. პროექტით, თავმჯდომარეებს ირჩევდნენ მოსამართლეები, რაც მეტ გარანტიას უქმნიდა მათ და ზრდიდა თვითმმართველობის ხარისხს, თუმცა, სამწუხაროდ, კანონის საბოლოო რედაქციაში ეს ნაწილი ვერ მოხვდა.¹⁰ ასევე, პრაქტიკულად უფუნქციოა თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.¹¹

1.4. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვა დადებითად შეაფასა ვენეციის კომისიამ,¹² თუმცა იქვე აღნიშნა, რომ აუცილებელია, კანონით მოწესრიგდეს ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და მისი დროებითი შეფერხებისას მოქმედი წესები.¹³ ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზია,¹⁴ კერძოდ:

⁷ Coalition for an Independent and Transparent Judiciary; “The Coalition’s Legislative Proposal to Reform the High School of Justice and the Institute of Court Chairs”, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3ddYnK3>, განახლებულია: 21.03.2020.

⁸ Nozadze N., Shermadini O., *Monitoring Report of The High Council of Justice #7*, Georgian Young Lawyers’ Association and Transparency International, Tbilisi 2019, გვ. 47, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3daZiLd>, განახლებულია: 21.03.2020.

⁹ Coalition for an Independent and Transparent Judiciary, “The Coalition’s Opinion on the Proposed Amendments to the Organic Law on Common Courts, Coalition for an Independent and Transparent Judiciary”, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2UhHOiB>, განახლებულია: 21.03.2020.

¹⁰ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), *On the Draft Law on Amendments to the Organic Law on General Courts*, Opinion #773/2014, Strasbourg, 14 October 2014, გვ. 16, par. 10, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3a3Ng4m>, განახლებულია: 21.03.2020.

¹¹ Kukava K., Talakhadze M., Nozadze N., *The Supreme Court of Georgia, Analysis of Institutional and Legal Framework*, Institute for Development of Freedom of Information (IDFI) and “Georgian Young Lawyers’ Association” (GYLA), GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Ssralk>, განახლებულია: 21.03.2020.

¹² იქვე.

¹³ Coalition for an Independent and Transparent Judiciary, “Opinion of the Coalition for Independent and Transparent Judiciary on the Fourth Wave of Judicial Reform Legislative Package”, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3a67LNC>, განახლებულია: 21.03.2020.

¹⁴ საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემასთან დაკავშირებული გამოწვევები დეტალურად იხილეთ: Mkhatarvari M., Talakhadze M., Kukava K., *Assessment of the Judicial Reform Electronic System of Case Distribution System for Disciplinary Liability of Judges*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC) and Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Tbilisi 2019, გვ. 9-10, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3dbZj1r>, განახლებულია: 21.03.2020.

- სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის უფლებამოსილება, რა დროსაც მას ეძლევა შერჩევით, მოსამართლეთა კონკრეტულ შეზღუდულ წრეზე საქმის განაწილების შესაძლებლობა;¹⁵
- სისტემა განაწილებისას არ ითვალისწინებს საქმის მოცულობის განსაზღვრად ობიექტურ კრიტერიუმებს;¹⁶ პროგრამა ანგარიშს არ უწევს საქმის სირთულესა და წონას, რაც აუცილებელია მოსამართლეთა სამართლიანი და თანაბარი დატვირთვისთვის.

1.5. საბჭოს ფართო უფლებამოსილებები იუსტიციის უმაღლესი სკოლის¹⁷ მსმენელთა მიღების პროცესში არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.¹⁸ მოქმედი ნორმატიული ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს სკოლის სათანადო ინსტიტუციურ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას;¹⁹ უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში, საბჭოს შეუძლია, საწყის ეტაპზე დაბლოკოს ის კანდიდატები, რომელთა ხილვა მომავალში მოსამართლედ არ სურს. არ არის განსაზღვრული სკოლაში კანდიდატის ჩარიცხვის კრიტერიუმები.

1.6. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს²⁰ დაკომპლექტების პროცესში²¹ საკმაოდ დიდია საბჭოს როლი, კერძოდ:

- სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან;²²
- საბჭო მნიშვნელოვან როლს თამაშობს აკრედიტებული უნივერსიტეტების კვოტით ასარჩევი წევრების დანიშვნაშიც;²³
- **სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე** აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის კვოტიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.²⁴

¹⁵ იქვე, გვ. 9.

¹⁶ იქვე.

¹⁷ სკოლის დანიშნულებაა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზადება.

¹⁸ Coalition for an Independent and Transparent Judiciary, “Considerations of the Coalition on the “Third Wave” of the Judicial Reform”, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3b48nU0>, განახლებულია: 21.03.2020.

¹⁹ Mkhatchvari M., Talakhadze M., Kukava K., *Implementation of the Judicial Strategy and the Action Plan (Shadow Report)*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC) and Institute for Development of Freedom of Information (IDFI), გვ. 25, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2x3N3zr>, 2018, განახლებულია: 18.03.2020.

²⁰ სკოლის საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს, კოორდინაციას უწევს და მათ აღსრულებას ზედამხედველობს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

²¹ დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრს (საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციიდან წარმოდგენილი თითო მოსამართლე) 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. დამოუკიდებელი საბჭოს 2 წევრს (1 მოსამართლე წევრს და 1 არამოსამართლე წევრს), მათი, როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, უფლებამოსილების ვადით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან. დამოუკიდებელი საბჭოს დანარჩენ 2 წევრს, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავიათ და საჯარო დაწესებულებაში არ მუშაობენ, 4 წლის ვადით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არანაკლებ 3 წევრის წარდგინებით, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

²² საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 66³-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

²³ იქვე.

²⁴ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 66³-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

1.7. 2019 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევას ვნებათაღელვა მოჰყვა. საკანონმდებლო რეფორმამ ვერ უზრუნველყო საუკეთესო კანდიდატთა გამოვლენა, რაც საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სამოქალაქო სექტორი,²⁵ საერთაშორისო ორგანიზაციები²⁶ და საქართველოს სახალხო დამცველი²⁷ უარყოფითად აფასებდნენ პროცესს. ეჭვქვეშ იდგა არჩეულ მოსამართლეთა კვალიფიკაცია და კეთილსინდისიერება. ეს გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით:

- კონკურსის მიმდინარეობისას, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, საბჭოს წევრების მონაწილეობა შერჩევის პროცედურებში;²⁸
- მოსამართლეთა შერჩევისას, იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრები მოქმედებდნენ ხმის მიცემის ერთიანი სქემით;²⁹
- პარლამენტში საკომიტეტო მოსმენების პროცედურები საკმარისად ნათლად არ არის გაწერილი;
- გადაწყვეტილება მოსამართლეთა კანდიდატურების წარდგენისა და არჩევის შესახებ არ დაეფუძნა კონსენსუსს. სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილება კლანისა და ხელისუფლების გარიგების შედეგია.³⁰

1.8. რიგ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს სამოსამართლო გამოცდილება, საბჭო პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით ნიშნავს,³¹ რაც საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობას.³² მოსამართლე, რომლის დანიშვნაც დამოკიდებულია გამოსაცდელ ვადაში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, უფრო მარტივად დაექვემდებარება ზეწოლას.

1.9. დამოუკიდებელ ინსპექტორს ევალება მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი, ყოველმხრივი გამოკვლევა და წინასწარი

²⁵ Coalition for an Independent and Transparent Judiciary, "Assessment of the Hearings of Supreme Court Judicial Candidates at the Parliament Legal Committee, Coalition for an Independent and Transparent Judiciary", კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2Qu56po>, განახლებულია: 21.03.2020.

²⁶ Office for Democratic Institutions and Human Rights, ODIHR Report, Second Report on the Nomination and Appointment of Supreme Court Judges in Georgia, June – December 2019, OSCE-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/33tmwYx>, განახლებულია: 21.03.2020; ასევე, European Commission, "Joint staff working document Implementation Report on Georgia", par. 2.3 Justice, freedom and security, European Commission-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2UeDzJC>, განახლებულია: 21.03.2020.

²⁷ ვრცლად: Monitoring Report on the Selection of Supreme Court Judicial Candidates, სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Y6UHmz>, განახლებულია: 21.03.2020.

²⁸ Coalition for Independent and Transparent Judiciary „The Coalition is assessing the ongoing process of selection of Supreme Court judicial candidates“, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3dhHNZR>, განახლებულია: 18.03.2020.

²⁹ The statement of the Public Defender, 28.06.2019, the Public Defender's website, available at: <http://bit.ly/2k3CTsy>, see also: Coalition for Independent and Transparent Judiciary, "The Coalition is assessing the ongoing process of selection of Supreme Court judicial candidates", the coalition website, available at: <https://bit.ly/3dcEmD5>, updated: 21.03.2020.

³⁰ ვრცლად: Monitoring Report on the Selection of Supreme Court Judicial Candidates, სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W8ypzC>, განახლებულია: 21.03.2020.

³¹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4¹ ნაწილი.

³² European Commission for Democracy Through Law (VENICE COMMISSION), დასახელებული დასკვნა, პ. 17.

შემოწმება.³³ ის დასკვნას გადასცემს საბჭოს, ეს უკანასკნელი კი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.³⁴ სამწუხაროდ, ნორმატიული აქტებით ამ დრომდე არ არის შექმნილი ინსპექტორის საქმიანობისთვის აუცილებელი დამოუკიდებლობის სათანადო გარანტიები.³⁵ ამასთან, შერჩევის წესით არ არის დადგენილი კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და სხვა),³⁶ რაც საბჭოს თვითნებობის ფართო შესაძლებლობას აძლევს. პრობლემაა ისიც, რომ ინსპექტორის ასარჩევად არ არის დადგენილი მაღალი კვორუმი და საკმარისია უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერა.³⁷

დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის დამკვიდრების შემდეგ ორივე ინსპექტორი (მოქმედი და ყოფილი) დახურული შერჩევის გზით განწესდა თანამდებობაზე, რამაც გამოიწვია კითხვები საბჭოს არალეგიტიმური ინტერესების შესახებ კანდიდატის მიმართ და შეარყია საზოგადოების ნდობა.³⁸

რაც შეეხება დისციპლინურ წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლიდან ასეთი საქმეების წინასწარი გამოძიებისა და გამოძიების ვადები მკაცრად არის განსაზღვრული, მაინც ფერხდება მათი წარმოება და ირღვევა ვადები. გარდა ამისა, საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების გამოქვეყნებას. ისინი ხელმისაწვდომი არ არის საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა. თავის მხრივ, იუსტიციის საბჭო არ იკრიბება შესაბამისი სიხშირით დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმეებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს მათი წარმოების შეფერხებას.³⁹

რეკომენდაციები:

- 2021 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლომდე საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების არჩევისას კანონით განისაზღვროს გენდერული კვოტები (ყოველი მეორე უნდა იყოს განსხვავებული სქესის⁴⁰ - გარდა ex officio წევრისა), მოსამართლე წევრთა შემთხვევაში კი - რეგიონული და ინსტანციური კვოტები. აიკრძალოს სასამართლოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრის თანამდებობის ერთდროულად დაკავება;

³³ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 51¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁴ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 75¹³-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁵ იქვე.

³⁶ Nozadze N., Shermadini O., *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 40-51.

³⁷ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 51¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁸ Coalition for an Independent and Transparent Judiciary, “The Coalition Criticizes the Independent Inspector’s Selection Process”, 2020, the webpage of the Coalition, available at: <https://bit.ly/2Mb90Rf>, updated: 21.03.2020; Coalition for an Independent and Transparent Judiciary, “The Coalition Criticizes the Independent Inspector Selection Competition for the Lack of Transparency”, 2017, the webpage of the Coalition, available at: <https://bit.ly/2zCql31>, updated: 21.03.2020.

³⁹ დეტალურად იხილეთ: “Institute for Development of Freedom of Information”, “Human Rights Education and Monitoring Center”, Assessment of the Judicial Reform – System of Disciplinary Liability of Judges, November, 2019, EMC webpage, available at: <https://bit.ly/2VMkWxz>; accessed on: 21.03.2020.

⁴⁰ დეტალურად იხილეთ: Council of Europe Office in Georgia News, “Why women judges are underrepresented in the management of the common courts in Georgia – the Council of Europe has published a study”, Council of Europe-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zKGGrz>, განახლებულია: 01.05.20

- 2021 წლის ბოლომდე კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც თავმჯდომარეებს თავად შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეები აირჩევენ. აგრეთვე, გაუქმდეს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა;
- 2021 წლის ბოლომდე კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორი ვადით არჩევა აკრძალდება;
- 2021 წლის ბოლომდე საქმეთა ელექტრონული განაწილების პრინციპი დაიხვეწოს იმგვარად, რომ სასამართლოების თავმჯდომარეებსა თუ სხვა პირებს არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ პროცესზე. ცვლილებებმა, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს საქმეთა განაწილების დროს კონკრეტული საქმის წონისა და სირთულის გათვალისწინება;⁴¹
- 2021 წლის ბოლომდე ნორმატიული ჩარჩო შეიცვალოს იმგვარად, რომ საბჭოს არ შეეძლოს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა. აგრეთვე, ნორმატიულ დონეზე დეტალურად უნდა მოწესრიგდეს მსმენელთა შერჩევის კონკურსის პროცედურები;
- 2021 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლომდე პარლამენტმა განახორციელოს ცვლილებები კანონში, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ასარჩევად საჭირო იქნება როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა;
- 2021 წლის ბოლომდე პარლამენტმა გააუქმოს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის ინსტიტუტი;
- პარლამენტმა 2021 წლის ბოლომდე განსაზღვროს დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის გამჭვირვალე პროცედურები და გაითვალისწინოს შერჩევის წესის ისეთი პრინციპები, როგორიცაა: ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. ინსპექტორის ასარჩევად საჭირო უნდა იყოს საბჭოს წევრების ხმათა 2/3.

2. პროკურატურის სისტემა

2.1. პროკურატურის დეპოლიტიზება და დამოუკიდებლობა ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაში კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. 2016 წელს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისას საქართველომ მიიღო რეკომენდაცია, გაეგრძელებინა ძალისხმევა დამოუკიდებელი და ეფექტიანი პროკურატურის ჩამოყალიბების მიმართულებით.⁴²

⁴¹ დეტალურად რეკომენდაციების შესახებ იხილეთ: Mkhatchvari M., Talakhadze M., Kukava K., დასახელებული ნაშრომი, გვ. 40 და შემდგომში.

⁴² რეკომენდაცია 118.23 გაცემული ბელგიის მიერ. მხარდაჭერილია საქართველოს მიერ. Take measures to support and strengthen prosecutions for human rights violations by the judiciary, with reference to the recommendations made by the Council of Europe Commissioner for Human Rights, including with respect to the

2.2. 2016-2018 წლების კონსტიტუციური რეფორმით, ახლებურად განისაზღვრა პროკურატურის სტატუსი. ცვლილების შედეგად, პროკურატურა აღარ წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტის ნაწილს და დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსი აქვს. უწყების ფარგლებში, სისტემის დამოუკიდებლობის, საქმიანობის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის მიზნით, შეიქმნა კოლეგიური ორგანო საპროკურორო საბჭოს სახით.⁴³

2.3. კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის ფარგლებში, საპროკურორო საბჭო ვერ ახერხებს კონსტიტუციური ვალდებულების შესრულებას და ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობას და საქმიანობის ეფექტიანობას.

2.4. საბჭო 15 წევრისგან შედგება და წევრთა უმრავლესობას (8 წევრი) პროკურორები ქმნიან.⁴⁴ არაპროკურორ წევრებში შედიან დეპუტატები (ეს მოდელი საბჭოს პოლიტიზების რისკებს ქმნის, მითუმეტეს, რომ ის ეფუძნება პარტიული კვოტების სისტემას, რაც ვენეციის კომისიის მიერ ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ მოდელად მიიჩნევა⁴⁵); პარლამენტის მიერ არჩეული სხვა პირები, რომელთა არჩევის წესი არ ეფუძნება პოლიტიკურ კონსენსუსს; იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული პირი (რაც ქმნის მინისტრთა კაბინეტის ჩარევის საფრთხეს პროკურატურის საქმიანობაში). ასევე, ინტერესთა კონფლიქტის რისკს წარმოშობს საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში მოქმედი მოსამართლეებისა და ადვოკატების ყოფნა.

2.5. კანონმდებლობით სამართლიანად არ არის მოწესრიგებული პროკურორ წევრთა არჩევის საკითხი. მათ პროკურორთა კონფერენცია 30 კაციანი საინიციატივო ჯგუფების მიერ ნომინირებული კანდიდატებიდან ირჩევს,⁴⁶ ეს მოდელი ამცირებს ინდივიდუალური პროკურორების წილს საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. პრობლემურია ამ პროცესში გენდერული და გეოგრაფიული კვოტირების საკითხიც. საინიციატივო ჯგუფმა შეიძლება წარადგინოს არაუმეტეს ორი კანდიდატისა. ამასთან, მხოლოდ საინიციატივო ჯგუფს აქვს ეს უფლებამოსილება და არა - ინდივიდუალურ პროკურორებს.

2.6. ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს კანონმდებლობაში გენერალური პროკურორის არჩევის წესი წარმოადგენს. არსებული რეგულაციებით, კანონის დონეზე არ არის ცხადად და ამომწურავად განსაზღვრული გენერალური პროკურორის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ბუნდოვანია საპროკურორო საბჭოს მიერ მისი შერჩევის პროცედურა. ამასთან, კანონმდებლობა არ ზღუდავს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე პირის

strengthening of the independence and effectiveness of the Prosecutor's Office (Belgium); ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xXjLD5>, განახლებულია: 20.03.2020.

⁴³ საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁴ პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

⁴⁵ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), Joint Opinion of the Venice Commission, the Consultative Council of European Prosecutors (CCPE) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), on the draft Amendments to the Law on the Prosecutor's Office of Georgia, endorsed by the Venice Commission at its 104th Plenary Session (Venice, 23-24 October 2015), Par: 42-43, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35lxFLJ>, განახლებულია: 21.03.2020.

⁴⁶ პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-8¹ მუხლის, მე-2 პუნქტი.

განმეორებით არჩევის შესაძლებლობას, რაც ძირითადი საერთაშორისო რეკომენდაციების და საუკეთესო პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მითითებაა.⁴⁷

რეკომენდაციები:

- პარლამენტმა 2021 წლის ბოლომდე შეცვალოს საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი: შემადგენლობიდან გამოირიცხოს პოლიტიკური სუბიექტები, მთავრობის კაბინეტის, მოსამართლეთა და ადვოკატთა წარმომადგენლები. საბჭოს არაპროკურორო წევრების არჩევის წესი განისაზღვროს იმგვარად, რომ საჭირო იყოს როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა; პროკურორო წევრების არჩევისას, პროკურორთა კონფერენციაზე კანდიდატის დასახელების უფლება უნდა მიენიჭოს თითოეულ პროკურორს. ამასთან, ამ პროცესში სამართლიანად უნდა განისაზღვროს გენდერული და გეოგრაფიული კვოტირების საკითხი. საპროკურორო საბჭოში ერთი სქესის წევრთა რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 8-ს;
- სახელმწიფომ უნდა განაახლოს საპროკურორო საბჭოს მანდატზე მსჯელობა და მისი უფლებამოსილებები განსაზღვროს იმგვარად, რომ მან რეალურად შეძლოს კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება - უწყების დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და საქმიანობის უფექტიანობის გარანტირება;
- 2021 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლომდე პარლამენტმა განახორციელოს ცვლილებები კანონში, რომლის მიხედვითაც გენერალური პროკურორის ასარჩევად საჭირო იქნება როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა;
- უნდა შეიზღუდოს გენერალურ პროკურორად ერთი და იმავე პირის განმეორებით დანიშვნის შესაძლებლობა.

3. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

3.1. კანონმდებლობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მეტად ფართო კომპეტენცია აქვს და მოიცავს „როგორც კონტრდაზვერვით და ანტიტერორისტულ საქმიანობას, ასევე, კორუფციასთან ბრძოლას, ტერორიზმის, სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ (მათ შორის, ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რასობრივი დისკრიმინაცია) და სხვა დანაშაულების გამოძიებას.“⁴⁸ გარდა საგამოძიებო მოქმედებებისა, უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილია პრევენციული/ოპერატიული ღონისძიებების გატარების, შესაბამისი დანაშაულების

⁴⁷ Gvasalia T., Imnadze G., *Prosecution System Reform*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), 2018, EMC-ის ვებგვერდი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dBitgT>, განახლებულია: 20.03.2020.

⁴⁸ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვ., 20 წელი საპარლამენტო კონტროლის გარეშე. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა უსაფრთხოების სექტორის საქმიანობაზე საქართველოში, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2019, გვ. 152. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cJRKpm>. განახლებულია: 26.06.2020.

გამოვლენისა და აღკვეთის შესაძლებლობებით.⁴⁹ უსაფრთხოების სამსახურის ძალაუფლებრივი ბერკეტები და მისი მოქმედების არეალის მრავალფეროვნება განუზომლად ზრდის ადამიანის უფლებების დარღვევის, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონსა და სპეციფიკურ ჯგუფებზე მომეტებული კონტროლისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს.

3.2. სუს-ის ხელმძღვანელის თანამდებობაზე განწესება, ისევე, როგორც მისი გათავისუფლება, კვაზი-ნდობა/უნდობლობის მექანიზმია და ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობას იძლევა.⁵⁰ პრემიერმინისტრის მიერ სუს-ის უფროსის თანამდებობაზე ინიცირებულ კანდიდატს მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება,⁵¹ შემდეგ კი კანდიდატურას კენჭს უყრის პარლამენტი და აბსოლუტური უმრავლესობით ამტკიცებს.⁵² მის გადასაყენებლად კი საკმარისია პარლამენტის წევრთა ხმების 1/3⁵³ ან მთავრობის მიერ საკითხის ინიცირება და პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა.⁵⁴ პროცედურა კონსენსუსის მიღწევის ძიებაზე არ არის ორიენტირებული და არ შეიცავს საკმარის სამართლებრივ გარანტიებს.⁵⁵

3.3. რაც შეეხება სამსახურის ანგარიშვალდებულებას, საკანონმდებლო ორგანოში არ ფუნქციონირებს შერეული კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა როგორც საპარლამენტო სუბიექტებით, ისე დამოუკიდებელი ექსპერტებით, რაც ხელს უშლის სუს-ის ეფექტიან საპარლამენტო კონტროლს.

რეკომენდაციები:

- 2021 წლის ბოლომდე პარლამენტმა უნდა შეზღუდოს სუს-ის ფუნქციები. აუცილებელია, მისი მანდატი მხოლოდ ანალიტიკური საქმიანობით შემოიფარგლოს.
- 2021 წლის ბოლომდე კანონში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სუს-ის უფროსის ასარჩევად და გადასაყენებლად საჭირო იქნება როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა, ხოლო მისი კანდიდატურის ინიცირების უფლება ნებისმიერ ფრაქციას უნდა მიენიჭოს.
- პარლამენტმა, არაუგვიანეს 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე, უნდა შექმნას შერეული კომიტეტი სუს-ის საქმიანობის კონტროლის მიზნით, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდა როგორც საპარლამენტო სუბიექტები, ისე დამოუკიდებელი ექსპერტები.

⁴⁹ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ მენაბდე ვ. (კვლ. ხელმ. და სამ. რედ.) და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 159 და 166.

⁵¹ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵² სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁵³ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 183-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵⁴ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 183-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁵ ავტორთა ჯგუფი, Reform of the security service in Georgia, Results and challenges, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), Tbilisi 2018, გვ. 19. EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2AKY6PJ>, განახლებულია: 21.03.2020.

4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

4.1. სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულის ობიექტური გამოძიება, წლებია, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რამაც დღის წესრიგში დააყენა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა. სახელმწიფომ აიღო საერთაშორისო ვალდებულება მექანიზმის დროულად ჩამოყალიბების კუთხით.⁵⁶ 2018 წელს მიღებული სპეციალური კანონით, ქვეყანაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შეიქმნა, თუმცა, კანონის ამოქმედების ვადის რამდენჯერმე გადაწვევის გამო, ის მხოლოდ 2019 წლის ნოემბრიდან ამუშავდა.

4.2. სახელმწიფო ინსპექტორის დამოუკიდებლობის მიღწევას დიდწილად განაპირობებს მისი არჩევის წესი. მას თანამდებობაზე ამტკიცებს პარლამენტი (აბსოლუტური უმრავლესობით),⁵⁷ თუმცა ამ პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება პრემიერმინისტრს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში წარადგენს კანდიდატს. ეს მმართველ გუნდს აძლევს შესაძლებლობას, თანამდებობაზე მისადმი ლოიალური პირი გააჩვენოს.

4.3. პრობლემურია ის ფაქტიც, რომ მაქსიმალურად შეზღუდულია სამსახურის კომპეტენცია. მას არ აქვს საგამოძიებო უფლებამოსილება შს მინისტრთან, გენერალურ პროკურორსა ან სუს-ის უფროსთან დაკავშირებით. საგამოძიებო უფლებამოსილება ასევე შეზღუდულია დანაშაულის კონკრეტული სახეებით, რაც ვერ უზრუნველყოფს სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე ეფექტიანი, სანდო და ობიექტური გამოძიების წარმოებას. იმავედროულად, ისეთ მნიშვნელოვან საგამოძიებო ღონისძიებებს, როგორცაა ჩხრეკა, დაკავება, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ინსპექტორი დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს. ამ დროს ის დამოკიდებულია საქმის ზედამხედველ პროკურორზე.

რეკომენდაციები:

- 2021 წლის ბოლომდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაძლიერდეს როგორც ინსტიტუციურად, ისე ფუნქციურად. მათ შორის, გაიზარდოს სამსახურის უფლებამოსილების ფარგლები, რაც უზრუნველყოფს ორგანოს სრულ დამოუკიდებლობას;
- 2021 წლის ბოლომდე კანონში შევიდეს ცვლილებები ინსპექტორის არჩევის წესთან დაკავშირებით. სახელმწიფომ უნდა შექმნას ინსპექტორის თანამდებობაზე განწესების იმგვარი წესი, რომლითაც გამოირიცხება ამ პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობა, ხოლო პარლამენტში მის ასარჩევად საჭირო იქნება როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა.

⁵⁶ ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bhniur>, განახლებულია: 20.03.2020.

⁵⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი.

B. სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები

1. საგამოძიებო სისტემის რეფორმა

1.1. ქვეყანაში, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე, მწვავედ დგას საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებების გამიჯვნის პრობლემა. არსებული კანონმდებლობით, პროკურორს ერთობლივად აქვს ფართო საზედამხედველო უფლებამოსილება გამოძიებაზე, უშუალოდ გამოძიების წარმოების შესაძლებლობა და შემდეგ, ამ გამოძიების საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია.⁵⁸

1.2. ამ ვითარებაში დაბალია გამოძიებლის პროფესიული დამოუკიდებლობის ხარისხი, რამდენადაც ის წარმოადგენს ბრალდების მხარეს და ვალდებულია, შეასრულოს პროკურორის ნებისმიერი მითითება. ამით, მთელი გამოძიება უფრო მეტად მიმართულია არა ობიექტური რეალობის დადგენის, არამედ წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნისკენ.

1.3. გასულ წელს სახელმწიფომ მუშაობა დაიწყო საგამოძიებო სისტემის რეფორმაზე და შექმნა რეფორმის კონცეფცია, რომელიც მეტწილად დადებითად შეფასდა ვენეციის კომისიის მიერ.⁵⁹ რეფორმის იდეა ფართოდ მხარდაჭერილია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდანაც.⁶⁰ მიუხედავად ამის, სხვა აქტიური ნაბიჯები საკანონმდებლო ცვლილებებისთვის სახელმწიფოს არ გადაუდგამს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ეს პროცესი შეჩერებულია.

რეკომენდაცია:

- საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის საშემოდგომო სესიის ბოლომდე განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც გაიზრდება ქვეყანაში გამოძიების დამოუკიდებლობის ხარისხი და საგამოძიებო უწყებები დისტანცირდება პროკურატურისგან.

⁵⁸ Imnadze G., Gvasalia T., Verdzeuli S., kvachantiradze d., Abesadze D., *Analysis of Investigative System*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), 2018, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3imvxyF>, განახლებულია: 30.06.2020.

⁵⁹ European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), Georgia - Opinion on the concept of the legislative amendments to the Criminal procedure code concerning the relationship between the prosecution and the investigators, adopted by the Venice Commission at its 118th Plenary Session (Venice, 15-16 March 2019), ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VvGvTD>, განახლებულია: 30.06.2020.

⁶⁰ Human Rights Education and Monitoring Center (EMC), *Opinions to the Venice Commission about Investigation System Reform in Georgia*, February, 2019, the EMC webpage, available at: <https://bit.ly/38JzGsk>, updated: 16.03.2020.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმა

2.1. საქართველოში სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ადმინისტრაციულ სახდელებს და განსაზღვრავს მათი დადების პროცედურებს მსუბუქი გადაცდომებისთვის. შესაბამისად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები გავლენას არ ახდენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაზე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები ვერ სარგებლობენ სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მათი დაუსაბუთებელი დაკავება, ადმინისტრაციული პატიმრობის ან ფულადი ჯარიმის გამოყენება ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს.⁶¹

2.2. არსებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ხანგრძლივი ისტორია აქვს და წარმოადგენს ერთადერთ ნორმატიულ აქტს, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან არის შემორჩენილი (მიღებულია 1984 წელს). ის ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, რაც, თავისი ბუნებით, მოითხოვს სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს გააჩნია; არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს; მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი წარმომადგენლობის განხორციელებას (საქმის განხილვა შესაძლოა გაგრძელდეს 10-15 წუთს). შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.⁶²

⁶¹ A. Human Rights Watch, *Administrative Error: Georgia's Flawed System of Administrative Justice*, January 2013, Human Rights Watch-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YKppn3>, განახლებულია: 16.03.2020. B. Georgian Young Lawyers' Association, *Report 26 May Analysis of Human Rights Violations during and related to the Dispersal of the May 26 Assembly*, 2011, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/nKDmpz>, განახლებულია: 16.03.2020. C. Mkhatchvili M., Kukava K., Nasrashvili A, Imnadze G., Kachkachishvili I., Lolashvili G., *Political Neutrality in the Police System*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), 2016, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2BOef7R>, განახლებულია: 16.03.2020. D. Kurdovanidze N., *Protests Considered to be an offence*, Georgian Young Lawyers' Association, 2017, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/ocENXL>, განახლებულია: 16.03.2020. E. Gotsitidze G., Mamrikishvili E., Oniani T., Simonishvili N., Jakhua M., Jomarjidze N., *Beyond the Lost Eye*, Georgian Young Lawyers' Association, Chapters 4 and 5, 2019, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OR8OZW>, განახლებულია: 16.03.2020.

⁶² How to End Georgia's Unconstitutional Use of its Administrative Offenses Regime Judicial Independence and Legal Empowerment Project (JILEP) October 15, 2013, ewmi/PROLOG-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VIZf27>, განახლებულია: 16.03.2020.

2.3. UPR-ის მეორე ციკლის დროს საქართველოს მიმართ გაიკა რეკომენდაცია, რომელიც წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემცირებას ეხებოდა.⁶³ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენებით დაკავებულთა და დაპატიმრებულთა რიცხვი წლიდან წლამდე არ მცირდება. 2019 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული 15191 პირიდან 5596-ს თავისუფლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის საფუძველზე შეუზღუდა.⁶⁴

2.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ დაკავებასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას. ადმინისტრაციული დაკავება უზრუნველყოფის დონისძიებაა, ხოლო პატიმრობა ადმინისტრაციული გადაცდომისთვის დადგენილი ყველაზე მკაცრი სახდელი. როგორც ადმინისტრაციული დაკავება, ასევე, ადმინისტრაციული პატიმრობა არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირობებში საფრთხეს უქმნის პირის თავისუფლების, უსაფრთხოების და სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვას.

2.5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დაკავების მაქსიმალურ ვადად 12 საათს ადგენს, თუმცა, თუ პირის დაკავება არასამუშაო ვადას ემთხვევა, დაკავება შესაძლებელია 48 საათის განმავლობაში გაგრძელდეს. მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას; ასევე, როგორც წესი, პოლიცია დაკავების ოქმში არ უთითებს დაკავების კონკრეტულ საფუძველს, რაც ართულებს პოლიციის მოქმედების კანონიერების შემოწმებას. ზოგ შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენება დაკავების მაქსიმალური ვადა. პოლიცია დაკავებას იყენებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კანონი ამას საერთოდ არ ითვალისწინებს. მნიშვნელოვან პროცედურულ დარღვევას წარმოადგენს ისიც, რომ დაკავებულ პირს არ განემარტება დაკავების გასაჩივრების უფლება და ვადები.⁶⁵

2.6. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პატიმრობას, დღეისათვის, მისი მაქსიმალური ვადა 15 დღეა. 2019 წელს ადმინისტრაციული პატიმრობა 1802 პირის მიმართ იყო გამოყენებული.⁶⁶ ამ ტიპის საქმეების განხილვისას, პროცესის თითოეულ ეტაპზე სახეზეა პირის ფუნდამენტური უფლებების შელახვა და ადეკვატური სამართლებრივი გარანტიების გარეშე მისი დატოვება. ადმინისტრაციული პატიმრობა არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელი სანქცია. მისი სისხლისსამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არ შეიძლება

⁶³ UPR, Recommendation N118.11. Take steps to limit the application and length of pretrial detention (Denmark).

⁶⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკა, შსს-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2C5kl3G>, განახლებულია: 16.03.2020.

⁶⁵ Coalition for Independent and Transparent Judiciary, "Letter to the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association", კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Qhjuwr>, განახლებულია: 16.03.2020.

⁶⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკა, შსს-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2C5kl3G>, განახლებულია: 16.03.2020.

ითვალისწინებდეს სანქციებს, რომლებიც ითხოვს პირის თავისუფლებაში მსგავსი ინტენსივობით ჩარევას.⁶⁷

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის შემოდგომის სესიის ბოლომდე განახორციელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც არსებულ კანონმდებლობას შეცვლის კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ახალი კოდექსით;
- საქართველოს პარლამენტმა, რეფორმის ფარგლებში, 2021 წლის შემოდგომის სესიის ბოლომდე გააუქმოს ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციის სახე;
- საქართველოს პარლამენტმა, რეფორმის ფარგლებში, 2021 წლის შემოდგომის სესიის ბოლომდე უზრუნველყოს, რომ სისხლისსამართლებრივი ბუნების სამართალდარღვევები გადავიდეს სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც მსუბუქი დანაშაული;
- საქართველოს პარლამენტმა, რეფორმის ფარგლებში, 2021 წლის შემოდგომის სესიის ბოლომდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის ბუნების გადაცდომებზე გაავრცელოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისთვის გარანტირებული საპროცესო უფლებები.

3. ადვოკატის ღონისძიების რეფორმა

3.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ადვოკატის ღონისძიებათა ძირითად სახეებს: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარღობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა.⁶⁸

3.2. UPR-ის მეორე ციკლის დროს სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს მიმართ გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემცირებას.⁶⁹ თუმცა, როგორც უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა აჩვენებს, 2016 წლიდან იზრდება პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი და ბრალდებულთა დაახლოებით 50%-ის მიმართ გამოიყენება წინასწარი პატიმრობა.⁷⁰

⁶⁷ Coalition for Independent and Transparent Judiciary, “Comments and Recommendations on Administrative Detention and Imprisonment”, კოალიციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31H1Ynt>, განახლებულია: 16.03.2020.

⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁹ UPR, Recommendation N118.11. Take steps to limit the application and length of pretrial detention (Denmark).

⁷⁰ Specifically, year by year, the percentages are as follows: 2016 - 29%, 2017 - 34%, 2018 - 43%, and 2019 - 47%. Statistics of the Supreme Court on the use of a preventive measure, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Z2L4XH>, განახლებულია: 30.06.2020.

3.3. დღესდღეობით პრაქტიკაში, ძირითადად, ორი სახის აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება – პატიმრობა და გირაო. სხვა ალტერნატიული ღონისძიებების შეფარდება, ფაქტობრივად, არ ხდება. მაგალითად, 2019 წელს გირაოს და პატიმრობის გარდა სხვა ალტერნატიული ღონისძიება შეუფარდა მხოლოდ ბრალდებულთა 2%-ს. აღნიშნულს განაპირობებს ორი გარემოება: ერთი - ის, რომ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში და მეორე - პროცესის მხარეები (ადვოკატი, პროკურორი) და მოსამართლეები არ მიიჩნევენ აღნიშნულ ღონისძიებებს გირაოს და პატიმრობის რეალურ ალტერნატივად.

3.4. საიას სასამართლო მონიტორინგის №12 ანგარიშის მიხედვით, პატიმრობის შეფარდების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების 12% და გამოყენებული გირაოს 30% იყო დაუსაბუთებელი,⁷¹ №13 ანგარიშის მიხედვით კი, დაუსაბუთებელი პატიმრობის მაჩვენებელი 15%-ით, ხოლო გირაო 28%-ით განისაზღვრა.⁷²

3.5. 2015 წლის 8 ივლისის ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს პატიმრობის პერიოდული და ავტომატური გადასინჯვის ახალ საპროცესო მექანიზმს.⁷³ მიღებული ცვლილებით სახელმწიფომ გამოსატანა ნება, აეწია სტანდარტი და აელო პასუხისმგებლობა, რომ მაქსიმალურად გაკონტროლდეს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა და ვადები.

3.6. UPR-ის მეორე ციკლის დროს სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს მიმართ გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა წინასწარი პატიმრობის ვადის შემცირებას.⁷⁴ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პატიმრობის გადასინჯვის ნაწილში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, პრაქტიკა აჩვენებს, რომ პატიმრობის ძალაში დატოვების მაჩვენებელი ძალიან მაღალია. სასამართლოების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, პატიმრობის გადასინჯვა მოსამართლეთა მხრიდან ზედაპირულად ხდება და 96% შემთხვევაში პირი პატიმრობაში რჩება, ხოლო აქედან 75% შემთხვევაში სასამართლო არ ასაბუთებს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობას.⁷⁵

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის შემოდგომის სესიის ბოლომდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანოს ცვლილებები და მიიღოს გირაოს

⁷¹ Kartvelishvili M., *Monitoring criminal trials in Tbilisi, Kutaisi, Batumi, Gori and Telavi courts - monitoring Report №12*, Georgian Young Lawyers' Association, გვ. 27, Period covered: March 2017 – February, 2018, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ieMANP>, განახლებულია: 30.06.2020.

⁷² Kartvelishvili M., *Criminal Trials Monitoring Report N13 (In Tbilisi, Kutaisi, Batumi, Gori and Telavi Courts)*, Georgian Young Lawyers' Association, გვ. 32, Period covered: March 2018 – February, 2019, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Z1jn0h>, განახლებულია: 30.06.2020.

⁷³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის, “ა” ქვეპუნქტი; 230¹-ე მუხლი.

⁷⁴ UPR, Recommendation N118.11. Take steps to limit the application and length of pretrial detention (Denmark).

⁷⁵ საია დაესწრო 190 წინასასამართლო სხდომას, სადაც პატიმრობის საკითხი გადაიხედა. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა 182 (96%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა, რომელთაგან 137 (75%) სხდომაზე არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობას. იხ: Kartvelishvili M., *Criminal Trials Monitoring Report N13 (In Tbilisi, Kutaisi, Batumi, Gori and Telavi Courts)*, Georgian Young Lawyers' Association, გვ. 44-45, Period covered: March 2018 – February, 2019, GYLA-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Z1jn0h>, განახლებულია: 30.06.2020.

და პატიმრობის ალტერნატიული ეფექტიანი აღკვეთის ღონისძიების სახეები, რაც შეამცირებს პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელს;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის ბოლომდე გაწეროს სახელმძღვანელო პრინციპები აღკვეთის ღონისძიების შესახებ, რომლითაც სასამართლო განხილვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2021 წლის ბოლომდე შექმნას სახელმძღვანელო პრინციპები აღკვეთის ღონისძიების შესახებ და, იმავდროულად, დანერგოს პროკურორებისთვის რეგულარული და სავალდებულო ტრენინგები აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებელი მოთხოვნის შესახებ;
- იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ 2021 წლის ბოლომდე უზრუნველყოს მოსამართლეებისთვის აღკვეთის ღონისძიების საკითხებზე რეგულარული და სავალდებულო ტრენინგების ჩატარება;
- სასამართლო სხდომაზე, რომელზეც წინასწარი პატიმრობის გადასინჯვის საკითხი განიხილება, მოსამართლემ მეტი დრო დაუთმოს და სათანადოდ დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა თუ ძალაში დატოვების საჭიროება.

4. საქართველოში მოქმედი რეკონსტიტუციური ნარკოპოლიტიკა

4.1. საქართველოში მოქმედი ნარკოპოლიტიკა წლების განმავლობაში რჩება მართლმსაჯულების მნიშვნელოვან გამოწვევად. ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკების მოხმარება⁷⁶ დასჯადი ქმედებაა და იწვევს როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი წესით უსამართლო და არაპროპორციული სასჯელების დაკისრებას.⁷⁷ ამ კუთხით არსებული რეგულაციები მოქალაქეებზე არასათანადო ზეწოლის შესაძლებლობას იძლევა.⁷⁸ მკაცრი სისხლისსამართლებრივი ნარკოპოლიტიკის პარალელურად, მეტად სუსტია ქვეყნის ძალისხმევა პრევენციის და მკურნალობა-რეაბილიტაციის მიმართულებით.⁷⁹

⁷⁶ გარდა მარიხუანის მოხმარებისა, რომლის დეკრიმინალიზაცია განხორციელდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილებით.

⁷⁷ Nasrashvili A., *Drug Policy in Georgia - Suspended Reform and New Trends*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), გვ. 7, 2019, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TGqxW5>, განახლებულია: 30.06.2020.

⁷⁸ *Gaps in the Investigation and Prosecution of Drug Offenses (Analysis of 2017 high profile cases)*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), გვ. 1-11, 2017, the EMC webpage, available: <https://bit.ly/2VYCx77>, updated: 30.06.2020.

Public Defender's Report on the State of Human Rights and Freedoms in Georgia, 2018, გვ. 261, სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iqaFSd>, განახლებულია: 30.06.2020.

4.2. შესაბამისი კანონი,⁸⁰ ერთი მხრივ, განსაზღვრავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა (ნარკოტიკული საშუალებების) სიას, მეორე მხრივ, ადგენს მათ მცირე (ადმინისტრაციული სამართალდარღვევით პასუხისმგებლობის საფუძველი), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყის, დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობებს.⁸¹ ეს კანონი ბევრ გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით (მაგალითად - ამფეტამინი, მეტამფეტამინი, მდმა და ა.შ.) არ განსაზღვრავს მცირე ოდენობებს. ასეთ შემთხვევაში,⁸² უმცირესი ოდენობით, მათ შორის, ცარიელ შპრიცში აღმოჩენილი ნივთიერების კვალი კვალიფიცირდება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობად და 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.⁸³

4.3. ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობების განუსაზღვრელობის ან არაგონივრულად განსაზღვრის პირობებში, ნარკოდანაშაულისთვის დაწესებული სანქციები არაპროპორციულად მკაცრია, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით გადასინჯვის საფუძველი ხდება,⁸⁴ თუმცა, პარლამენტის მხრიდან სისტემურ ცვლილებებს არ განაპირობებს. ნარკოტიკული საშუალების გავრცელების მიზნის გარეშე, პირადი მოხმარებისთვის შექმნილი (ასევე დამზადებული ან კულტივირებული) ზოგიერთი სახეობის ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებული სანქციები ხშირად უფრო მკაცრია, ვიდრე მკვლელობის თუ გაუპატიურების შემთხვევაში.⁸⁵

4.4. ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირს, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და სასჯელის შეფარდების პარალელურად, სასამართლოს მიერ ავტომატურად ეზღუდება დამატებითი სამოქალაქო უფლებები,⁸⁶ როგორცაა სატრანსპორტო საშუალების მართვა, საჯარო დაწესებულებებში მუშაობის უფლება და სხვა. უფლებების ჩამორთმევის ვადა დამოკიდებულია ნარკოტიკული დანაშაულის ტიპზე და მისი ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3-დან

⁸⁰ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დანაშაულების შესახებ საქართველოს კანონი.

⁸¹ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დანაშაულების შესახებ საქართველოს კანონის დანართი N2, უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის შესახებ.

⁸² ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დანაშაულების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4¹ პუნქტი.

⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და შენახვისთვის განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა 5-დან 8 წლამდე ვადით.

⁸⁴ Nasrashvili A., *Drug Policy in Georgia - Suspended Reform and New Trends*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), გვ. 23-27, 2019, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TGqXW5>, განახლებულია: 30.06.2020.

⁸⁵ Human Rights Watch, *Harsh Punishment – The Human Toll of Georgia’s Abusive Drug Policies*, 2018, გვ. 42-43, Human Rights Watch-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33eJtyr>, განახლებულია: 30.06.2020.

⁸⁶ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

20-წლამდე,⁸⁷ რაც ამ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციას და დასაქმების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ართულებს.⁸⁸

4.5. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით, სამართალდამცავი ორგანო უფლებამოსილია, ნებისმიერი პირი იძულებით ნარკოტიკულ შემოწმებაზე საექსპერტო დაწესებულებაში გადაიყვანოს. პირის საექსპერტო დაწესებულებაში გამოსაკვლევად წარდგენა, სხვა საფუძვლებთან ერთად, შესაძლებელია ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომ პირი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფება.⁸⁹ ოპერატიული ინფორმაციის სანდოობის/რეალურობის შემოწმებაზე არ ვრცელდება არც სასამართლო და არც საპროკურორო კონტროლი.⁹⁰ კანონმდებლობა სამართალდამცავებს ანიჭებს ნებისმიერი პირის თვითნებურად გადაყვანის შესაძლებლობას ნარკოტესტირებაზე, ხოლო შემოწმებაზე უარის შემთხვევაში - 12 საათით მისი დაკავების უფლებას.⁹¹

4.6. საქართველოში არ ხდება ნარკოდამოკიდებული პირების სათანადო უზრუნველყოფა სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებზე მორგებული მკურნალობით.⁹² ქვეყანაში არ მოქმედებს ნარკოდამოკიდებულების ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია.⁹³ სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული მკურნალობის, როგორც დასჯის ალტერნატივის ინსტიტუციური მექანიზმი.

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა, არაუგვიანეს 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე, გააუქმოს სისხლისსამართლებრივი დასჯალობა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის;
- საქართველოს პარლამენტმა, არაუგვიანეს 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე, სამართლიანად განსაზღვროს ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები;
- საქართველოს პარლამენტმა, არაუგვიანეს 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე, პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით, დაადგინოს ნარკოტიკული დანაშაულებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელები;

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ Nasrashvili A., *Drug Policy in Georgia - Suspended Reform and New Trends*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), გვ. 33, 2019, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TGqxW5>, განახლებულია: 30.06.2020; Human Rights Watch, *Harsh Punishment – The Human Toll of Georgia’s Abusive Drug Policies*, 2018, გვ. 53-55, Human Rights Watch-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33eJtyr>, განახლებულია: 30.06.2020.

⁸⁹ Nasrashvili A., *Drug Policy in Georgia - Suspended Reform and New Trends*, Human Rights Education and Monitoring Center (EMC), გვ. 33. 2019, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TGqxW5>, განახლებულია: 30.06.2020; Human Rights Watch, *Harsh Punishment – The Human Toll of Georgia’s Abusive Drug Policies*, 2018, გვ. 29, Human Rights Watch-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33eJtyr>, განახლებულია: 30.06.2020; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის N725 ბრძანებით დამტკიცებული „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქცია“.

⁹⁰ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁹¹ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის N725 ბრძანებით დამტკიცებული „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქციის“ მე-4 მუხლი.

⁹² Public Defender’s Report on the State of Human Rights and Freedoms in Georgia, 2018, გვ. 261, სახალხო დამცველის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iqafSd>, განახლებულია 30.06.2020.

⁹³ Human Rights Watch, *Harsh Punishment – The Human Toll of Georgia’s Abusive Drug Policies*, გვ. 24, 2018, Human Rights Watch-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33eJtyr>, განახლებულია: 30.06.2020.

- საქართველოს პარლამენტმა, არაუგვიანეს 2021 წლის სამემოდგომო სესიაზე, ხელახლა მოაწესრიგოს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულთა მიმართ სამოქალაქო უფლებების შემზღუდველი საკანონმდებლო რეგულაციები და კანონით მოსამართლეს მიანიჭოს ამგვარი სანქციების არა ავტომატურად, არამედ დისკრეციულად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის შესაბამისად შეფარდების უფლებამოსილება;
- იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმების მომწესრიგებელი საკანონმდებლო პროცედურა განისაზღვროს ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისად;
- საქართველოს მთავრობამ, არაუგვიანეს 2021 წლიდან, შექმნას პრევენციის სისტემური მექანიზმი, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს;
- საქართველოს მთავრობამ, არაუგვიანეს 2021 წლიდან, შექმნას გადამისამართების კომისიები, რომლის საფუძველზეც, დასჯის ნაცვლად, ინდივიდუალურად განისაზღვრება მომხმარებლის საჭიროებების შესაბამისად მკურნალობის, მხარდაჭერის თუ ზრუნვის სერვისები.